მიგრაციული პროცესების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

ტარიელ კიკვაძე
სტუ-ს პროფესორი

თემურ შაკიაშვილი
სტუ-ს ასისტ. პროფესორი

რეზიუმე

მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაზრდილმა ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ კულტურულმა ფაქტორებმა განაპირობა მიგრაციული პროცესების ინტენსივობა. გლობალიზაციის ფონზე შესუსტებულმა სასაზღვრო დაბრკოლებებმა ადამიანებს მისცა მეტი შანსი, დაიმკვიდრონ ადგილი საერთაშორისო შრომის ბაზარზე. შედეგად გაიზარდა ქვეყნებს შორის მოსახლეობისა და სამუშაო ძალის გადაადგილების მასშტაბები.

ნაშრომში გაანალიზებულია მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, შრომითი მიგრაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. მეცნიერების მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი თეორიების საფუძველზე ფორმულირებულია გარკვეული კანონზომიერებები მიგრაციულ პროცესებთან მიმართებაში.

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ჩატარებულია რეგრესიულ-კორელაციური ანალიზი. აგებულია წრფივი რეგრესიის განტოლება, რომელშიც ასახულია კავშირი მიგრაციულ სალდოსა და უმუშევრობის დონეს შორის.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მიგრაციული სალდო, უმუშევრობის დონე, ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსი), მშპ მიმდინარე ფასებში, კორელაციური მატრიცა, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

IMPACT OF MIGRATION PROCESSES ON MACROECONOMIC INDICATORS

RESUME

Significantly increased economic, social and cultural factors in the world led to the intensity of migration processes. The weakened border barriers in the face of globalization have given people more opportunities to gain a foothold in the international labor market. As a result, the scale of population and labor force movement between countries has increased.

The paper analyzes the causes of migration, the positive and negative effects of labor migration. On the basis of important theories developed by scientists, certain regularities in relation to migration processes have been formulated.

A regression-correlation analysis was conducted based on the statistical data of the main macroeconomic indicators of Georgia. A linear regression equation is built, which shows the relationship between the migration balance and the level of unemployment.

Key words: migration, migration balance, unemployment rate, inflation (consumer price index), GDP at current prices, correlation matrix, correlation-regression analysis.

* * * *

მიგრაცია რთული სოციალურ-ეკონომიკური პროცესია, რომელიც ადამიანთა ცხოვრების მრავალ ასპექტს მოიცავს. ცივილიზაციის თითქმის ყოველ ისტორიულ ეტაპზე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის ამა თუ იმ ფორმას. ამასთან, მიგრაციული ნაკადების ხასიათი მუდმივი არ არის, იგი იცვლება დროში, რადგანაც იცვლება მიგრაციული პროცესების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები.

განსაკუთრებულ მასშტაბებს მიგრაციის მასშტაბებმა ოცდამეერთე საუკუნეში, გლობალიზაციის პირობებში მიაღწია. მიგრანტთა რაოდენობის ცვლილებასთან ერთად იცვლება მიგრაციის გამომწვევი მიზეზებიც. წინა საუკუნეებში თუ ამას იწვევდა სამოქალაქო თუ ეთნიკური კონფლიქტები, პოლიტიკური, რელიგიური დევნა, ამ მიზეზებს დაემატა უმუშევრობა, ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნებს შორის განსხვავებული შრომის ანაზღაურება, სავაჭრო ურთიერთობების განვითარება, ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება და ა.შ. ადამიანებს საშუალება მიეცათ იმუშაონ ან ისწავლონ თავიანთი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, სხვადასხვა ქვეყნებში. შედეგად შრომისა და განათლების საერთაშორისო ბაზრები ფართოვდება. ადამიანებს აქვთ დიდი არჩევანის საშუალება, რადგან საკუთარი ქვეყნის ბაზრების გარდა, არსებობს ქვეყნის გარეთ სხვა ალტერნატივები. ეს კი გარკვეულწილად ქვეყნებს შორის იწვევს კონკურენციის ზრდას, რათა მოიზიდონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საუკეთესო კადრები და მიაღწიონ ეკონომიკური მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს.

მიგრაციის კლასიფიკაცია შესაძლებელია მიგრაციის ხანგრძლივცობის, მიმართულებისა და მიზეზების შესაბამისად.

ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ მუდმივ და დროებით მიგრაციას. მუდმივი მიგრაცია უკავშირდება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, ხოლო დროებითი - შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაოდ გადაადგილებას გარკვეული დროით მუდმივი საცხოვრებლის შენარჩუნებით (ე.წ. სეზონური მიგრაცია).

მიმართულების შესაბამისად განიხილავენ შიდა და გარე მიგრაციებს, ხოლო მიზეზების მიხედვით - იძულებით და ნებაყოფლობით მიგრაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულ პროცესებს დიდი ხნის ისტორია აქვს მასთან დაკავშირებული თეორიები სათავეს მეცხრამეტე საუკუნედან იღებს. მიგრაციის ახალი ეკონომიკის თეორია ეყრდნობა მიკროეკონომიკურ ფუნქციონალურ ანალიზს. მიგრაციაზე გადაწყვეტილება მიიღება არა ცალკეული ინდივიდების, არამედ კოლექტიურად, ოჯახის წევრების მიერ. მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის არასაკმარისად განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია. ამ თეორიის მიმდევრები ცდილობენ ახსნან მიგრაციის პროცესი მაკროდონეზე და ხაზს უსვამენ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის შედეგად ქვეყნებს შორის პოლტიკურ-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. დონორ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობამ შეიძლება არა იმდენად მუხრუჭის როლი შეასრულოს, რამდენადაც სტიმულისა, რადგან იგი თავის თავში მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებებისთვის დამატებით დაინტერესებას.

კვლევების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს შემდეგი კანონზომიერებები:

- მიგრანტთა დიდი ნაწილი მცირე მანძილებზე გადაადგილდებიან;
- ქალაქის მოსახლეობა უფრო მიდრეკილია მიგრაციისკენ სოფლის მოსახლეობასთან შედარებით;
- ნებისმიერი მიგრაციული ნაკადი იწვევს საწინააღმდეგო ნაკადებს;
- მიგრანტთა ძირითად მასა ზრდასრული მოსახლეობა წარმოადგენს. ოჯახები არცთუ ისე ხშირად კვეთენ თავიანთი სახელმწიფოების საზღვრებს;
- მიგრაციის რაოდენობა იზრდება მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის განვითარების პროპორციულად.

მიკროდონეზე ფართო გავრცელება ჰპოვა კონცეფციებმა, რომლებშიც გამოყოფილია მიგრაციული პროცესების ეტაპები, რაც გულისხმობს მიგრანტთა ნაბიჯ-ნაბიჯ ჩართვას ქვეყნების ცხოვრებაში. აღნიშნული ეტაპები რამდენიმე თაობას შეიძლება მოიცავდეს.

რაც შეეხება მიგრაციის ახალ ეკონომიკურ თეორიას [...], მისი მიდგომების ფორმულირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

ოჯახები, საოჯახო მეურნეობები, წარმოებისა და მოხმარების სხვა ერთეულები არიან მიგრაციული პროცესების ანალიზისა და კვლევის ობიექტები და არა ცალკეული ინდივიდები;

განსხვავებები შრომის ანაზღაურებაში არ წარმოადგენს მიგრაციის აუცილებელ პირობას - საოჯახო მეურნეობებს შეიძლება უფრო ძლიერი სტიმულები ჰქონდეთ რისკების დივერსიფიკაციისთვის;

ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა (ადგილობრივი წარმოების მაღალი დონის მიუხედავად) არ გამორიცხავს მიგრაციებს; არსებობს სხვა ძლიერი სტიმულებიც საოჯახო მეურნეობებისათვის მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად;

სამთავრობო პროგრამებმა და ეკონომიკურმა განვითარებამ შესაძლებელია შეცვალოს ზოგიერთი საოჯახო მეურნეობის მატერიალური მდგომარეობა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება შეცვალოს სტიმულები მიგრაციისადმი.

მიგრაციის გამომწვევ მრავალფეროვან მიზეზთაგან ძირითადი მაინც მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაა, გადაადგილება სამუშაოს შოვნის მიზნით ან განათლების მისაღებად. შრომითი მიგრაცია იქცა საგარეო ეკონომიკური კავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად. მიგრაციული ნაკადები მიემართება ერთი ქვეყნიდან ან რეგიონიდან სხვა ქვეყნებისა და რეგიონებისკენ.

შრომითი მიგრაციისათვის დამახასიათებელია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტები. დადებით ეფექტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამუშაო ძალით სარგებლობა მიმღებ ქვეყნებს ეხმარება გახდნენ კონკურენტუნარიანები ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შრომითი მიგრაციის ხარჯზე სამუშაო ძალის შევსებითა და ადამიანური რესურსებით.

უარყოფითი ეფექტებიდან შეიძლება გამოვყოთ დამატებითი ხარჯების ზრდა, რომელიც დაკავშირებულია მიგრანტთა ინტეგრაციის მხარდამჭერ პროგრამებთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებასთან, თავშესაფრის და სოციალური დახმარების უზრუნველყოფაზე გაწეულ დახმარებასთან. აგრეთვე, დემპინგი შრომის ბაზარზე იაფი სამუშაო ძალის მიზეზით, რაც ადგილობრივებისათვის ხელფასის შემცირებასაც განაპირობებს.

შრომითი მიგრაცია მწვავე პრობლემაა თანამე-

დროვე საქართველოსთვის. იგი არ არის ახალი მოვლენა, მაგრამ მასობრივი ხასიათი მიიღო პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მრავალმხრივი კრიზისის შედეგად. რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ მოსახლეობის დიდი ნაწილი აიძულა, გადარჩენისთვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა. ამჟამად ათასობით საქართველოს მოქალაქე უცხოეთში არალეგალურად მუშაობს. ზოგიერთი მათგანი კი ტრეფიკინგის მსხვერპლიც გახდა. მეორეს მხრივ, მათ მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებაში.

საქართველოდან სამუშაო ძალის გადინების შედეგად ქვეყანაში სწრაფად მცირდება შრომისუნარიანი მოსახლეობა, რამაც შემცირებული შობადობის გათვალისწინებით, ქართული საზოგადოება მძიმე დემოგრაფიული ვითარების წინაშე დააყენა.

იმისათვის, რომ კომპლექსურად გაანალიზდეს მიგრაციული ნაკადების გავლენა ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, გამოყენებული უნდა იქნეს რაოდენობრივი ანალიზის ისეთი მოსახერხებელი ინსტრუმენტი, როგორიცაა რეგრესიულ კორელაციური ანალიზის მეთოდი.

საერთოდ, ეკონომიკურ მაჩვენებლებთა შორის კავშირის დადგენა რთულია, რადგანაც მათ არა აქვთ მკაცრი ფუნქციონალური ხასიათი (უფრო მეტად მაკროეკონომიკაში). რთული არის იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა რომლებიც მოცემულ მაჩვენებლებზე მოქმედებენ. ამასთან ხშირად ასეთ ზემოქმედებებს შემთხვევითი ხასიათი აქვს. გარდა ამისა, არცთუ იშვიათად შეზღუდულია სტატისტიკური მონაცემების რაოდენობაც და შესაძლოა ისინი სხვადასხვა სახის შეცდომებსაც შეიცავდნენ.

მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულების უმარტივეს ფორმას წრფივი კავშირი წარმოადგენს. აღნიშნული კავშირის ზომად კორელაციის კოეფიციენტს იყენებენ, რომლის მნიშვნელობა (-1,+1)-ის ფარგლებში იცვლება.

კორელაციური ანალიზი არის სტატისტიკური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით განისაზღვროს არსებობს თუ არა დამოკიდებულება ორ ცვლადს შორის და რამდენად ძლიერია იგი.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველია კორელაციური მატრიცა. იგი წარმოადგენს კვადრატული ფორმის მატრიცას, რომლის სტრიქონებისა და სვეტების გადაკვეთაში ჩაწერილია შესაბამის ცვლადებს შორის არსებული კორელაციის კოეფიციენტების მნიშვნელობები.

კორელაციური მატრიცის შესადგენად მიგრაციული სალდოს მონაცემებთან ერთად შევარჩიეთ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები - უმუშევრობის დონე, ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსი) და მშპ მიმდინარე ფასებში. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილ ცხრილში N1:

ცხრილი 1

wlebi	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
A	-34,9	-30,4	-36,0	-21,5	-2,6	-6,5	-3,4	-8,1	-2,1	-10,8	-8,2	15,7	-26,0	-39,2
B	16,3	15,1	15,0	14,6	22,6	21,9	21,8	21,6	19,2	17,6	18,5	20,6	17,3	16,4
C	107,1	108,5	99,1	102,4	102,0	104	102,1	106,0	102,6	104,9	105,2	109.6	111,9	102,5
D	21,8	25,5	27,2	28,6	31,1	34,0	35,8	40,8	44,6	49,2	49,3	60,0	72,3	80,2

A, B, C და D სტრიქონებში, შესაბამისად მოყვანილია მიგრაციული სალდოს (ათასი კაცი),უმუშევრობის დონის (%),ინფლაციის (საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან) და მშპ-ს (მილიარდი ლარი) მონაცემები.

მონაცემთა ანალიზის სტატისტიკური ინსტრუმენტარის (Excel/data analysis/correlaton) გამოყენებით მიღებული შემდეგ კორელაციური მატრიცა:

	A	B	C	D	E
1		მიგრაციული სალდო	უმუშევრობის დონე	ინფლაცია	მშპ
2	მიგრაციული სალდო	1			
3	უმუშევრობის დონე	0.785662306	1		
4	ინფლაცია	0.092515234	-0.022855067	1	
5	მშპ	0.048821344	0.039032041	0.337872353	1

ნახ.1. კორელაციური მატრიცა

როგორც კორელაციური მატრიციდან ჩანს, მიგრაციულ სალდოსა და უმუშევრობის დონეს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი შეინიშნება (კორელაციის კოეფიციენტის შესაბამისი მნიშვნელობა 0,79-ის ტოლია). ეს კარგად ჩანს ქვემოთმოყვანილი კორელაციური ველის სურათიდანაც:

ნახ. 2. კორელაციური ველი



ქვემოთ მოყვანილია კომპიუტერული გათვლების შედეგები უმუშევრობის დონის მიგრაციულ სალდოზე დამოკიდებულების დასადგენად:

ნახ.3. კომპიუტერული გათვლების შედეგები რეგრესიის განტოლების შესადგენად.

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.7856623
R Square	0.6172653
Adjusted R Square	0.5853707
Standard Error	1.8236541
Observations	14

ANOVA

	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*
Regression	1	64.36357133	64.3635713	19.3533075	0.000866547
Residual	12	39.90857152	3.32571429		
Total	13	104.2721429			

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*
Intercept	20.566528	0.682572941	30.1308861	1.1181E-12	19.07932885	22.05372621
sald.	0.1375298	0.031262185	4.39923942	0.00086655	0.069415388	0.205644289

კომპიუტერული გათვლების თანახმად რეგრესიის ყველა შეფასება სტატისტიკურად ნიშნადია. წრფივი რეგრესიის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$y= 0,14x+20,6$$

ამგვარად, მიგრაციული სალდოს 1%-ით ცვლილებამ საშუალოდ უმუშევრობის დონის 0,14%-ით ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გუგუშვილი ა. მიგრაციის სახელმძღვანელო. პირველი გამოცემა ICMPD, თბილისი. 2017 გვ.86;
2. ტუხაშვილი მ., ჭელიძე ნ. შრომითი მიგრაცია. თსუ, სალექციო მასალა, თბილისი, 2021, გვ. 179;
3. კიკვაძე ტ.,ბერიძე თ., ეკონომეტრიკის საფუძვლები.საქართველოს ტექ. უნივერსიტეტი. თბ. 2011 გვ.194
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka,უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2024;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306, უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2024;